

მარნეულისა და რუსთავის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი):

მოკლე ისტორიას მოგახსენებთ, ერთ-ერთი პირველი ინიციატივა უწმინდესის, 80-იანი წლების დასაწყისში, იყო ბევრს ახსოვს, ორშაბათობით ბავშვთა პარაკლისის გადახდა. უწმინდესმა ჩვენ შეგვერიბა, მაშინ ჯერ სტიქაროსნები ვიყავით, გვეკითხებოდა, რა მიგაჩნიათ დღეს აქტუალურად, სასწრაფოდ გასაკეთებლად და როდესაც ჩვენ ვთქვით, ალბათ სასურველია სკოლები იყოს, ან ერთი სკოლა მაინც, მოძღვრების და მორწმუნე ოჯახების შვილებისთვის, ეხლა ჯერეს ადრეაო, მაშინ ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი იყო. თქვა, რომ იმისათვის რომ ბავშვების პარაკლისის ნებართვა მიეღო მოსკოვიდან დაჭირდა ორი წელი. ასეთ გარემოში იწყებოდა განათლების სფეროს განვითარება და უწმინდესმა სწორად და ბრძნეულად განსვრიტა, რომ მოზარდ თაობაში, ახალ თაობაში უნდა აღიზარდოს სიყვარული დვთისა, რწმენა დვთისა და სიყვარული ეკლესიისა, პატარაობიდანვე გაითავისოს ეკლესის წიაღი, ბუნებრივად გრძნობდეს მასში თავს და არა უცხო პირად შემოვიდეს, თვალებს აცეცებდეს, რა და როგორ და მითუმეტეს განიკითხავდეს იმას, რაც არ ესმის. სწორედ ამან განაპირობა, რომ 1991-92 წლებში გაიხსნა პირველი სკოლები. როგორც კი კომუნისტური რეჟიმი დასრულდა და საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1991-92 წლებში, ხვდებით, რომ სულ ცოტა ხანი იყო გასული და გაიხსნა პირველი სამი სკოლა. ერთი ბათუმში და ორი თბილისში. ცოტა გაჭირვებით მიმდინარეობდა ეს, მაგრამ ცოტა ხანში ისევ ხალხის ოჯახების, მოძღვრების ინიციატივით იმატა სკოლების რიცხვმა. ამასთან ერთად მოგეხსენებათ 1988 წელს მცხეთის სემინარიის ბაზაზე თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია, ესეც პატრიარქის დიდი მიღწევა იყო. შემდეგ ქუთაისის სემინარი-აკადემია გაიხსნა და დღეს უკვე სემინარიები არის ბათუმში, ახალციხეში, ცაგერში, ფოთში და ა.შ. სასულეულო განათლება განვითარდა ამ წლების მანძილზე და 1993 წელს უწმინდესმა შექმნა ჯერ სასწავლო კომიტეტი, რომ მომხდარიყო კოორდინაცია ამ სასწავლებლების და სკოლების ერთმანეთთან, ერთიანი სასწავლო სივრცე შექმნილიყო და შემდეგ, როცა გამრავლდა სკოლების რაოდენობა და დაახლოებით ორმოცს მიაღწია, კომიტეტი გადაიზარდა განათლების ცენტრში და ეხლა უფრო მეტი თანამშრომელია და მეტი საშუალება გვაქს წვდომის ამ სკოლების, მონიტორინგის სწავლის და სახელმძღვანელოებზე მუშაობის. ეს მოკლე შესავალი მიმართულებით, რა კეთდებოდა ეკლესიაში დღემდე. რატომ მიაქცია უწმინდესმა ასეთი დიდი ყურადღება განათლების სფეროს? და შეეცადა განვითარებულიყო ეს სფერო. ისტორიულად ვიცით, რომ განათლების კერები იყო მონასტრები, სადაც ბერები თარგმნიდნენ კიდევაც, რედაქტირებას უკეთებდნენ, წერდნენ და ცნობილ გელათის აკადემიაში თუ სხვა სასწავლებლებში ისწავლებოდა ის დისციპლინები, რომელიც იმდონინდებოდა მეცნიერებათა დონეს აკმაყოფილებდა და სწორედ ამ კერების ბაზაზე, მონასტრების ბაზაზე შემდეგ შეიქმნა დღეს

შპემ ევროპაში ცნობილი უნივერსიტეტები და საქართველოს ავტედითი ისტორიული პერიოდის გამო ეს პროცესი შენელდა და უფრო ფრაგმენტული გახდა. დღეს მოგვეცა საშუალება, დვთის განგებით, რომ ადგადგინოთ ის, რაც დროის გამო დარღვეული იყო ჩვენს შორის. მე ეხლა ნაწილობრივ წავიკითხავ.

როგორც ცნობილია და ჩვენ ვხედავთ, რომ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ბგერად ჩამოყალიბება და მრავალდარგობრივი იერარქიული ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ფარგლებში შეუძლებელია შესაბამისი სწავლა-განათლების სისტემის გარეშე. სადაც ირლვევა სწავლა-განათლების სისტემა, იქ იწყება ერის სახელმწიფო წყობის ჩამოშლა ეთნიკურ ჯგუფამდე და შემდეგ ეთნიკური ჯგუფის ჩამოშლა ოჯახის ფარგლებამდე. ჩვენ შეგვიძლია საღვთო ისტორიიდან მოვიყეანოთ მაგალითი. როდესაც წარლვნის შემდეგ, ერი გამრავლდა, იქ ირლვევა მათი ერთობა, იმიტომ რომ მიზანი ხდება, ზეცის მიღწევა დვთის გარეშე ანუ ამპარტაცნული იდეა უუფლება და ხდება გათიშვა ადამიანებს შორის, ოჯახებად იყოფიან, იშლებიან, იფანტებიან. მერე ამ ოჯახის საფუძველზე ისევ იქმნება ეთნიკური გჯუფები და ისევ იქმნება სახელმწიფოები და ერთ-ერთი პირველი მათგანი იყო, სწორედ ის, რაც ნებროთმა, ქამის შთამომავალმა, შექმნა შუამდინარეთში, ანუ ის იყო არა დვთის მიერ, არამედ ადამიანური ძალისხმევით შექმნილი ერთობა, რომელიც ვიციო რითიც დამთავრდა, ნებროთი სხვა მოძალადის მიერ მოიკლა. გმირები იყვნენ იმ დროს. ასე რომ, ეს ჩამოშლა ერისა ოჯახად, ოჯახიდან პირიქით ზრდა და სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ეს არის დამოკიდებული ოჯახში და ეთნიკურ ჯგუფში არსებული განათლების სისტემაზე და რატომ ვაკეთებთ ამ დასკვნას, რომ ოჯახი, როგორც წმინდა წერილი გვამცნებს, არის პირველად საწყისი უჯრედი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების და შესაბამისად საზოგადოების ჩამოყალიბების. ოჯახში, პირველად უჯრედში შექმნის, ასე ვთქვათ, მენტალობა, ცნობიერება, როდესაც იზრდება ოჯახი და ვრცელდება და ყალიბდება უკვე ეთნიკურ ჯგუფად, მაშინ საზოგადოებრივი ცნობიერება, დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების შეჯამებით და მემკვიდრეობით მისი გადმოცემის საშუალებით აყალიბებს ოჯახურ აღზრდა-განათლების ტრადიციულ სისტემას. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური-საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი აღზრდა-განათლების და სწავლა-განათლების სისტემას საფუძვლად უდევს ესა თუ ის იდეა. ეს შეიძლება იყოს ადამიანის ონტოლოგიური აქსიოლოგიის პრინციპი, დვთის ხატების რეალიზაციით დვთის მსგავსების მიღწევა, დვთის მიერ ადამიანის გაღვთობა, ღმერთოან მარადიულ ცხოვრებაში თანამყოფობა ან ადამიანის ცოომილი გონებით ნაკარნახევი დვთის გარეშე მისი ამქვეყნად ცხოვრების თვითნებური პრინციპი. მაგალითად შეიძლება ორად გავყოთ, დვთის ერი და ფარაონის ერი, წმინდა წერილი ყოფს და დღეს ჩვენ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, კონკრეტულად შეიძლება ვთქვათ საქართველოში, სადაც ვთქვათ არის საერო ესეთი

განათლება, ჩვეულებრივი და არის განათლების სისტემა ეკლესიის წიაღში. გარკვეულწილად მათი პრინციპები განსხვავდება. ქართველი ერის ოჯახური აღზრდის სისტემა ჩამოყალიბდა ქრისტიანული ეკლესიის ზნეობრივ პრინციპებზე, მაგრამ ათეისტური რეჟიმის ხანაში მოიშალა საზოგადოების ეკლესიური ცხოვრება და ათეისტურ-მატერიალისტური იდეოლოგიის დანერგვით შეიცვალა საზოგადობერივი ცნობიერება და ოჯახური აღზრდის სისტემა ანუ შეიცვალა დირექტულებათა სისტემა, კომუნისტურმა სისტემამ შემოიტანა, როცა ადამიანის დანიშნულება ჭანჭიკი, რაღაც მექანიზმის და მისი პერსპექტივა ცხოვრების შემოიფარგლა მარტო წარმოებაში თუ მეურნეობაში მონაწილეობით ან სახელმწიფო სტრუქტურაში, ანუ თანამდებობის დაკავებით და სრულიად უგულვებელყოფილია ადამიანის ცხოვრების მარადიული დირექტულებები, მისი ორიენტაცია ზეცისაკენ, მასში ღვთის ხატების დავიწყება და შესაბამისად მისი განვითარება სულიერი და ზნეობრივი, შეიზღუდა მარტო ეთიკური ნორმებით, რომ სახელმწიფოში იყოს წესრიგი. ეს არის დაკნინება ადამიანის ღირსების, რაც მოხდა და სამწუხაროდ ოჯახის აღზრდის სისტემა ამ პრინციპზე იყო დაყვანილი. მთავარი იყო, რომ შვილი პრესტუულ სასწავლებელში მოწყობილიყო, რაღაცა პროფესიას დაუფლებოდა და მერე ან შემოსავალი ექნებოდა მეტი, ეს იყო პრესტიულობის ერთ-ერთი ნიშანი, სამედიცინო იქნებოდა ან იურიდიული, სადაც მეტი ფული უნდა ეშვათ ან კიდევ თანამდებობა უნდა დაეკავებინათ და ეს მაშინ მიდიოდა რაღაც სხვა მიმართულებით, ესეთი დეპეშა იყო, “висшая партийная школа”, და ვთქვათ იქ აბარებდა და რაიკომის მდივნობა გარანტირებული იყო. აი ეს პრინციპები რომ დამკვიდრდა, 70 წლის მანძილზე შეიცვალა ეს თაობები, ზოგი ფიზიკურად გაწყვიტეს, ზოგი ბუნებრივად წაგიდა ამქვეყნიდან, ამან გაართულა აღდგენა ერში ქრისტიანული დირექტულებების ცნობიერების, რო არა ღვთის სასწაული, ღვთის წყალობა და განგება, რომ დღეს ესე იგი ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა გარკვეულწილად ასე შეიცვალა, ქრისტიანული ეკლესიური ცხოვრების აღდგენის პროცესმა საზოგადოებას და ოჯახს გაახსენა ზნეობრივი აღზრდის პრინციპები. პრინციპების განხორციელებას სჭირდება გამოცდილება და სწორედეს გამოცდილება პრაქტიკულად იყო დაკარგული, იმიტომ რომ წყვეტა მოხდა თაობებს შორის. და ეს არა მარტო ერში, არამედ მონასტრულ ცხოვრებაშიც სამწუხაროდ ეს წყვეტა მოხდა. არის ქვეყნები, სადაც შენარჩუნებულია ტრადიცია ბერ-მონაზვნური ცხოვრების, ათონის მთაზე, საბერძნეთში, ნაწილობრივ რუსეთში ზოგიერთი მონასტერი მოქმედებდა, ჩვენთან სამწუხაროდ ეს იყო შეწყვეტილი და დღეს, შეიძლება ითქვას, ბოლო ამ ორი ათეული წლის მანძილზე ხდება სწორედ ამ გამოცდილების შეძენა და გავრცობა. ეკლესიური ცხოვრების პროცესის აღდგენამ, საზოგადოდ ოჯახს გაახსენა ზნეობრივი აღზრდის პრინციპები, როგორც ვთქვით, მაგრამ აკლია ჯერ გამოცდილება. როგორც მოგახსენეთ, საპატრიარქოში შეიქმნა განათლების სისტემა, მაგრამ მე არ ვგულისხმობ მარტო ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლების, არამედ სასწავლებლების შექმნას. არ ვგულისხმობ ოჯახით ეპლესის წიაღში შემოსვლას, ოჯახში ეკლესიასთან ცოცხალი უშუალო ურთიერთობით აღდგენას ქრისტიანული პრინციპების. იმიტომ რომ პირველი გარემო ბავშვის აღზრდის არის ოჯახი. თუ ოჯახში საფუძველი არ ეყრება, მაშინ ძნელია მერე შეიძინოს, თვითადზრდით შეიძლება ადამიანმა ამას მიაღწიოს, მაგრამ მას ბევრი დაბრკოლებაც ელოდება, დიდი შინაგანი ბრძოლაც ელის იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ქრისტიანად და აი ამ პროცესმა მისცა საშუალება ქრისტიანული აღზრდის განათლების შეძენის. პირველი საშუალება არის წმინდა წერილი, დგომის სიტყვა და ეპლესიურ საიდუმლოებებთან ურთიერთობა. ვახსენეთ წმინდა წერილი და განა არ შეიძლებაოდა წაეკითხათ, ალბათ ვერ ნახავდით, თუ ოჯახში სადმე იყო გადარჩენილი სახარება შენახული, ბიბლიოთეკებში ვერ ნახავდით. მე უკვე მაშინ დამთავრებული მქონდა უმაღლესი სასწავლებელი, დავინტერესდი და გამოვიწერე ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახარება და მივიღე პასუხი, თქვენ რად გინდათ, თქვენ ხომ ტექნიკური განათლება გაქვთ? და მე სახარება წავიკითხე ბულგაკოვის ოსტატი და მარგარიტასი. იქ ამოვიცანი სახარება. ესეთი პარადოქსული იყო პერიოდი. ლოცვანს საერთოდ ვერ ნახავდით, ტაძრებშიც არ იყო, იმიტომ რომ დაბეჭდა არ შეიძლებოდა. როდესაც ერთ-ერთი მორწმუნე ოჯახიდან მოვითხოვე სახარება და მოვინდომე მისი გამრავლება ქსეროქზე, მბეჭდავმა მითხრა, უკაცრავად ეს აკრძალული ლიტერატურააო, მე სამსახური არ მინდა დაგვარგოო და ვერ დაგიბეჭდავო. ამიტომ ვამბობ, რომ ეს პირველი და მთავარი საშუალება სულიერი განათლების, წმინდა წერილი, მიუწვდომელი იყო უმრავლესობისთვის. გარდა ამისა არის, წმინდა მამების ცხოვრების გამოცდილება და წმინდა მამების ცხოვრებასაც ვერ ნახავდით, მართალია ჰაგიოგრაფია ისწავლებოდა სკოლებში. მაგრამ რა ფარგლებში, რა კონტექსტში, ესეც მოგეხსენებათ და ახალს არაფერს გეტყვით. ერთ-ერთი პირველი საშუალება არის, როგორც ვახსენეთ, ეკლესიასთან და ქრისტეს მისტიურ სხეულთან, მადლის წყაროსთან, ცოცხალი, უშუალო ურთიერთობა. ესეც ერთ-ერთი პირველი საშუალება გამოცდის, მოძღვართან ურთიერთობის, ლოცვა-კურთხევის მიღების, მისი შესრულების, დილა-საღამოს ლოცვების კითხვის, მარხვის დაცვის. ეს ყველაფერი ნელ-ნელა ცვლის ადამიანს, მის ცნობიერებას, აწესრიგებს მის შინაგან ქაოსს, დვთაებრივ წესრიგში მოჰყავს ის და ეს ხანგრძლივი და ხშირად მტკიცნეული პროცესია, მაგრამ სიმტკიცე გვმართებს ჩვენ. აი ესპროცესი გაიარა ჩვენი ერის გარკვეულმა ნაწილმა და არის კიდევ ერთი საშუალება, რომელიც ჩვენ დღეს კიდევ გვეძლევა, ეს არის თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, ვგულისხმობ ბავშვთა ფსიქოლოგს და პედაგოგ ფსიქოლოგთა მიღწევებს. გარკვეულ აღმოჩენებს ასაკობრივი საფეხურზე ბავშვებში, მათი თავისებურებების და ბავშვთა ამ თითოეულ საფეხურზე უფროსების, მშობლის თუ პედაგოგის ერთობის პრინციპები. ამის საფუძველიც ქრისტიანულია, იმიტომ რომ ყველა ადამიანი დაბადებით ქრისტიანია, დგომის

ხატად იბადება, მერე შეიძლება საზოგადოებამ შეცვალოს და დაამახინჯოს მასში ეს და სხვა მიმართულება მისცეს, მაგრამ დაბადებით ყველა ქრისტიანი იბადება. მეცნიერება უახლოვდება რეალობას და არ არის იდეოლოგიზირებული, მოდის ფაქტის ახსნა-განმარტებით და მერე ამ ახსნა-განმარტების უკუგებით. ხანგრძლივი და რთული პროცესია შემცნების და სწორედ ამით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი. მე მინდა ვთქვა, რომ წმინდა წერილი თითქოს ჩვენ არ გვეუბნება ბავშვის აღზრდის ამ სისტემას, რადგან ადამიანის აგებულება სულიერი, ფშვინვიერი, სომატური მოცემულება ადამის მაგალითზე, უკვე ზრდასრულ ადამიანის მაგალითზე. როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი ჩვილობის ასაკიდან ზრდასრულობამდე, ესე სისტემის სახით არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ გარკვეული ზოგადი პრინციპები ცხადია წერილში მოცემულია. ესად სოლომონის სიბრძნეში, იგავებში, სახარებაში, მოციქულთა ეპისტოლებში შეიძლება ეს ამონარიდები ვნახოთ, მაგარამ ეს არ ნიშნავს, რომ მორწმუნე ოჯახებმარ იცოდნენ, როგორ უნდა აღიზარდათ თავისი შვილები. ამ ზოგადი პრინციპების, წმინდა წერილში მოცემული, ასე ვთქვათ გამოყენება. წმინდა წერილი თითოეულ ოჯახს, თითოეულ მშობელს თავისუფლებას ანიჭებს. რა ფორმით? რომ მიაღწიოს ერთ შედეგს. რა საშუალებით, რა გზით? პრინციპები ცნობილია და ამით მშობელიც გამოცდილებას იძენს და გარკვეული თავისუფლება აქვს, ის არაა შეზღუდული რადაც კონსტრუქციებით. ჩვენ ვიცით უამრავი პედაგოგიური სისტემა, რომელიც ერთმანეთს პრინციპულ საკითხებში არ ეთანხმება და ზოგი როგორ უდგება ბავშვის აღზრდას და ზოგი სხვანაირად. წმინდა წერილი არაა შეზღუდული ამ გარკვეული სქემით აღზრდის. აღზრდა არის ორგანული პროცესი, ამიტომ უნდა მიეცეს მშობელს, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს თავისი შვილი, ზედმეტი სიახლოვე აქვს მშობელს შვილთან, მან გამონახოს ეს გზა სიყვარულით და დვთის შთაგონებით, როგორ აღიზარდოს ბავშვი. ამ გამოცდილების შეძენა მოხდება პრაქტიკულად. ეხლა შევეხები ტერმინს “განათლება”. თემა არის აღზრდა და სწავლა-განათლება. განათლება ვუწოდეთ აღზრდისა და სწავლის ერთიან სისტემას. სხვა ენებზე ამის შესატყვისი სიტყვებია, ვთქვათ რუსულად “образование”, ინგლისურად “education”, გერმანულად “bildung”, რაც გარკვეულ ზრდა-ჩამოყალიბებას გულისხმობს. ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვა განათლება და ჩვენ ვფიქრობთ ეს უფრო მეტად ქრისტიანული მიდგომაა, იმიტომ რომ ზრდა-ჩამოყალიბება რა საშუალებით, რა მოდელით, რა მიზნით და გულებნება განათლება, იმიტომ რომ ნათელი არის სამნაირი ნათელი. განათლება გულისხმობს ნათელის თანდათან მიღებას, ნათდება ნელ-ნელა, მაგრამ წყარო ამ ნათლისა უფალია. “მე ვარ ნათელი სოფლისა” ეს ღვთაებრივი, უქმნელი, მარადიული ნათელი ჭეშმარიტი, რომელზეც წერილი ამბობს, რომ “ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს ყოველთა კაცთა, მომავალთა სოფლად” არის ღვთაებრივი ნათელი და ღვთაებრივი ნათლის მიმღები ადამიანი, ღვთის

ხატად შექმნილი, გონიერივი ნათელი აქვს მოცემულია და რაც უფრო მეტად ღებულობს ღვთაებრივ ნათელს, მით მისი გონება მეტად ნათდება და ხილული ნათელის საშუალებით, ანუ ამქვეყანაზე ქმნილებათა ხილვით და მათი შემეცნებით უხილავს იმეცნებს. ეს ორმხრივი პროცესია. ღვთისაგან ნათელს ღებულობს და განათლებული იმეცნებს რა ღვთის ქმნილებას, ქმნილებათა შემეცნებით, შემოქმედს იცნობს. ეს ასე იყურება კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის, ნათელით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი, მიღებული ქართულში “განათლება” უფრო სრულად ასახავს იმ პროცესს, რომელიც უნდა ადამიანმა გაიაროს ამქვეყანაზე. არა მარტო საზოგადოების წევრად ჩამოყალიბდეს, არამედ განლმრთობას მიაღწიოს, ღვთაებრივი ნათელით განიმსჭვალოს და თანაზიარი გახდეს ამ ნათლისა, თვითონ გახდეს ნათელი. ანგელოზებზე ნათქვამია, ნათელნი მეორენიო, ღვთისაგან მიღებულ ნათელს ისინი ანათებენ, ადამიანიც უნდა ამ ნათელს იძენდეს და მერე ანათებდეს სოფელში. სიტყვები “ნათელი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი მას ვერ ეწია” ეხება სწორედ ამ გაცხადებას ღვთაებრივი ნათელის, მატერიალურ, ნივთიერ სამყაროში, ცვალებად დროსა და სივრცეში სამყაროში, რომ თითქოს ნიღბავს და ფარავს ამ ნათელს, მაგრამ ვერ ეწევა მას, ვერ ჩააქრობს და ამავე დროს, რადგან დაცემულია ეს სამყარო, დღეს ცოდვა ებრძინის ამ ნათელს და ცდილობ, რომ ჩააქროს, მაგრამ ეს ნათელი ღვთისაგან მოდის და ჩაუქრობელია. ღვთაებრივი ნათელი განანათლებს ადამიანის გონებას, ამიტომ ეკლესია ადავლენს ხოლმე ლოცვას, არის ესეთი მსახურება, განსაკუთრებული მსახურება, სასწავლო წლის დაწყების, ბავშვთა დალოცვის, სწავლისათვის და ესეთ ვეღრებას უფლისადმი ადავლენს, რომ “გარდამოხდეს ყრმებს სული სიბრძნისა და მეცნიერებისა და განუხვენ ბაგენი და გონებანი და . . .” სული სიბრძნისა ღვთისაგანაა და გონებანი, გულნი და ბაგენი, ანუ გამოთქმა მიღებულისა, ესა არის პიროვნების მთლიანობის გამომსატველი ძალები. გონება, გული და ნება, რომ მიღებული ნათელი გასცეს და გაუზიარო სხვას, საქმედ აქციოს. აქ ცხადად განასხვავებს სიბრძნეს და მეცნიერებას, სიბრძნე ღვთისაგან მოდის და ღვთის სულის განცხადებაა, მაგრამ მეცნიერება ცოდნაა, ინფორმატულობა. თუ სიბრძნე ნიჭია ბოძებული, მეცნიერება შექენა ცოდნის და ამის ანალიზის, დაგროვება ინფორმაციის, ეს გარკვეული უნარია ადამიანის, რომელიც შეიძლება მან თვითონ თავის თავში განავითაროს. ერშია ეს საზოგადო განათლება მიმართული, ისე რომ ადამიანმა შეძლოს ამ უნარის განვითარება, გააზრება, გაგება, ანალიზი და მიღება, მაგრამ არა სიბრძნის გარეშე. ამიტომ ვამბობ, რომ კაცობრიობა დღეს უამრავ კრიზისში იმყოფება გარემოს დაცვის, დემოგრაფიის ან სხვა კიდევ უამრავ კრიზისში, იმიტომ რომ ღვთაებრის სიბრძნეს არის მოკლებული. დღეს არის თავისებურად იდეოლოგიზირებული სწავლება, შეიძლება გვგონია, რომ იდეოლოგიზირებული იყო მარტო კომუნისტური რეჟიმის დროს, არა, დღეს მსოფლიოში და სწორედ წამყვან ქვეყნებში იდეოლოგიზირებულია სწავლა-განათლება მატერიალისტურ-ათეისტური ცნობიერებით და ფსიქოლოგიით და

მიდგომით საკითხებისადმი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიკერძოებულიმედიის საშუალებით, გადაუმოწმებელი და ანალიზის გარეშე მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება ხშირად გაიგივებულია სიბრძნესთან. ზოგს გონია, რომ ტელევიზორში რასაც ის ხედავს და იმასხოვრებს, ამით ხდება იგი ბრძენი და ამ დროს ნახევრად ყალბ ინფორმაცია ღებულობს გაუაზრებლად და ვერც აანალიზებს. ერთ-ორ მაგალითს მოვიყვან, გაშიფრეს მცენარის თუ რადაც პატარა ორგანიზმის გენომი, ამაზე დახარჯეს უზარმაზარი დაფინანსება, მეცნიერთა კოლექტივი მუშაობს ამაზე და იღებენ სხვა მსგავსი ორგანიზმიდან ქრომოსომას და ჩასვამენ ამ ჯაჭვში და ღებულობენ ახალ მოდელს და ტაში, აი თურმე შესაძლებელია შექმნა და ღმერთი არაა საჭირო, მაგრამ რატომდაც ავიწყდებათ ერთი რამ, რომ იმისათვის რომ ეს შექმნა, საჭირო იყო თანხები, მეცნიერთა ჯგუფი, იდეა ყოფილიყო, მიზანმიმართული მოქმედება ყოფილიყო, წინ ამ შექმნას უსწრებდა გონება, გონების მოქმედება, ძალისხმევა და როცა ვამბობთ “სიბრძნითა ღვთისათა შეიქმნა ცა და ქვეყანა” ეს რატომდაც იწვევს სარკაზმულ დიმილს ათეისტებში, როგორ შიეძლება სიტყვით, მაგრამ ეს სიტყვა ვერბალურ სიტყვად არ იგულისხმება, უზენაესი გონის მოქმედებით ხდება. სიბრძნით იქმნება, სიყვარულით იქმნება, ის რასაც ვერ ვიტყვით ჩვენ ამ გარკვეული მეცნიერთა ჯგუფის მუშაობაზე, რადგან მათი მიზანია აღმოჩენა გააკეთო და არა სიყვარული, სახელის მოხვეჭა და არა სიყვარულის გამრავლება ქვეყანაზე. ესეთი შემთხვევა იყო, ერთი ფიზიკოსი, რომელიც მუშაობდა ბიოველების შესწავლაზე, ქმნიდა რადაც დანადგარებს და ცდებს ატარებდა, ამ დროს კრიტიკულად უდგებოდა ეკლესიას, წმინდა წერილს და რადაც არგუმენტები მოიყვანა, რატომ მას არ სწამს, მესმის რომ ცოდვა არის და ცოდვის გამო ბევრი რამ ცუდი ხდება ამქვეყანაზე, უდანაშაულო ბავშვები რატომ იღუპებიან? როცა ვკითხე მას, რომ შენ რაზეც მუშაობ და მიაღწევ ამას, ანუ შექმნი აპარატს, რომლითაც შეიგემდება ბიოველი მართო, ან იმპულსები მიაწოდო მას, შენ ხომ ხვდები, რა იარაღს ქმნი-მეთქი, ეს იარაღი შეიძლება იმაზე უარესი იყოს, ის კლავს ადამიანს ბომბი, ეს კიდე სახეს უცვლის ადამიანს, ამახინჯებს, ნებას ართმევს, აქცევს მას რობოტად, კიო, მართალიაო, მაგრამ ეს მე არ მაშუხებსო, ჩემთვის მთავარია აღმოჩენაო, მე ვარ მეცნიერიო, და სწორედ აქ დევს ის მიზეზი, რის გამოც ის ბავშვები იღუპებიანთქო. შენ და სხვები, ვინც ეს გამოიგონა, უსიყვარულოდ, მარტო თავის მოხვეჭის მიზნით, ამბიციის დასაკმაყოფილებლად, ამპარტავნული სულით რაც გააკეთე, ეს ამრავლებს ბოროტებას ქვეყანაზე. ეს პრინციპი გავრცელდა უვროპიდან მთელს მსოფლიოში და მსოფლიოში დღეს განათლების სისტემაში იგულისხმება სწორედ ეს პრაგმატული, მატერიალისტური, მიზანმიმართული ცოდნის მიცემა, რომ ადამიანმა საზოგადოებაში დაიკავოს რადაც ადგილი და მეტი არაფერი. ისევ ჭანჭიკის პრინციპი მოქმედებს, შეიძლება ისინი ამას არ ეძახიან კომუნისტურ რეჟიმს, არაა კომუნისტური რეჟიმი, მაგრამ იდეოლოგიურად ფაქტიურად იმავე

გზით მიდიან, ოღონდ ვთქვათ დემოკრატიული წყობით და არა ვთქვათ დიქტატურით და ამისგან განსხვავებით ეპლესია ადავლენს ვედრებას ყრმების მიმართ, რათა “გულთა შინა ყრმათა, დანერგოს უფალმა საღვოო შიში დასაბამად სიბრძნისა” ეს ცნობილი ფსალმუნის სიტყვაა, მერე მეფე სოლომონის სიტყვა და “მით ყრმებივრი უგუნურება განიდევნოს გულთაგან მათთა და განანათლოს უფალმა გონებანი მათნი გარემიქცევად ბოროტისა და ქმნად კეთილისა” ეს არის პრინციპი ქრისტიანული აღზრდის. დვთის მადლობა თანაზიარი ბავშვი, რომლის გულშიც ინერგება სიყვარული ბუნების, სიყვარული მშობლის, წინაპრის, ზრუნვა მომავალზე და უფლის სიყვარულიც თუ იზრდება მასში, მაშინ ეს ყრმებრივი უგუნურება, ანუ დაცემული ბუნების თვისებები, რომლის შესახებაც მაცხოვარი ამბობს, რომ კაცის გულიდან გამოდის კაცის კვლანი, მრუშებანი, პარვანი, გმობანი და სხვა მრავალი, სწორედ ამისგან განწმენდა ხდება რელიგიური, ზნეობრივი, სულიერი აღზრდის შედეგად და არა მხოლოდ სიტყვიერი აღზრდით, ასეთი დამოკიდებულება არ იძლევა შედეგს, არამედ ეკლესიასთან ცოცხალ ურთიერთობაში, მოძღვართან, საეკლესიის საიდუმლოებებთან ანუ მადლის წყაროსთან ურთიერთობა, დვთის მადლი არის საზრდო სულისა, სული მოკლებული ამ მადლს თავისთავად მერე იფიტება და ფორმალური ამ გზით ვითარდება. ანუ განათლება აქედან ჩანს რომ, თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით გულისხმობს ცოდნის შეძენას, ანუ გონებრივი ნათელის ზრდა-განვითარებას სულიერ-ზნეობრივი აღზრდის ფონზე. “ზეგარდამო სიბრძნე, ამბობს მოციქული, უპირველეს ყოვლისა, არის სიწმინდე და დვთის მადლის მიღებით თანდათან ადამიანი იწმინდება იმ “ყრმებრივი უგუნურებისაგან”, რომელიც მას ახასიათებს. ასეთი გამოთქმაა, ბიბლიაში ნოეს შეილები, სემი, ქამი და იაფეტი და ქამზე ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია, შუათანა იყო, მაგრამ ქამი იყო უჭაბუკესიო, ანუ უფრო მეტად ვნებებისკენ მიდრეკილი, არამდგრადი და ადვილად შეცდომაში შეიძლება ასეთი ადამიანი შევიდეს. ამის მაგალითია ქამი, ოღონდ უპატივმცემელია თავისი მშობლის მიმართ, რადგან მშობელი მას შენიშვნას აძლევდა, რომ მის ასაკს არ შეეფერება უჭაბუკესი კაცის ქმედება, არ შეესაბამება და ეს სწყინდა ამპარტავანს. დღეს სამწუხაროდ ხშირად აღზრდა სწორედ ხდება ამბიციების გაზრდით, ამბიციების პროვოცირებით, სტიმულირებით და მერე გვიკვირს, ბოროტება რატომ მრავლდება ქვეყანაზე. ეკლესია, ისევ იმ მსახურებიდან მოვიყვანთ სიტყვებს, ევედრება უფალს, რომ განუხვენ ამ ყმებს გონება, შეწყალება და გულისხმისყოფა, მეხსიერებად ყოვლისა კეთილისა და სულისა სასარგებლო სწავლისა”. განათლება ანუ ბავშვის გონებრივი ნათლის ზრდა-განვითარება ზნეობრივი აღზრდის ფონზე არის დღეს ერთ-ერთი მთავარი მისია. არაერთად-ერთი, არამედ ერთ-ერთი. უფალი ამბობს, რომ აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებო მაგათ” და თანამედროვე, პრაგმატული, მატერიალისტური სისტემა მსოფლიოში გავრცელებული, იმიტომ რომ ტექნიკური პროგრესის განვითარებას ხელს უწყობს, სხადია ასეთი მიდგომა,

უფრო შედეგიანია, მაგრამ შედეგი ხანმოკლეა, იმ შედეგს მერე მოყვება უამრავი კრიზისი, უამრავი პრობლემა და მერე იწყება ფიქრი, როგორ დააღწიოს ამ პრობლემიდან, უფალი ამბობს, აცადეთ ჩემთან მოსვლა, ნუ აყენებთ მაგათო. ანუ მიეცით საშუალება, უფალი შეიცნონ და შემდეგ დასძენს, რომ “რამეთუ იგი ვითართა არის სასუფეველი ცათა”, რომ ამქეუნიური მიზნებით არ უნდა შეიზღუდოს და მიზნები უნდა ემსახურებოდეს იმ საბოლოო მიზნის მიღწევას. ეს პერსპექტივა ადამიანს ზრდის განვითარების ჩამოყალიბებისმატერიალისტურ პედაგოგიკაში და ფსიქოლოგიაში ცხადია ამოვარდნილია და ეხლა მე გადავალ უფრო კონკრეტულ საკითხებზე. ასაკობრივ ფსიქოლოგიაზე, მართალია სისტემურად არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამოვკრიფოდ გარკვეული, კონკრეტული შემთხვევები. როცა პატარა ბავშვებს მოიყვანდნენ, მაცხოვარი მათ ნათქვამია “შეიტყობდა მათ, დასხმიდა მათ ზედა ხელთა და აკურთხებდა მათ” მათ სიყვარულს ფენდა, ნათელს ფენდა, ისინი ჯერ არ არიან მზად, რომ გონიეროვად მიიღონ, ლოგიკურად, ანალიტიკურად, მათ ამ სახით ეძლევათ მადლი, მაგრამ როდესაც უკვე 12 წლის მაცხოვარი ტაბარში რჩება, იქ უსვამს კითხვებს მოძღვრებს და მოძღვრებს არ უკვირთ, რომ კითხვებს სვამს, იმიტომ რომ ამ ასაკისთვის უკვე დამახასიათებელია სურვილი შემეცნების, საიდუმლოს წვდომის, შევხედავთ, რომ მოძღვრები ამ კითხვებს პასუხს ვერ სცემდნენ, თვითონ მაცხოვარი სცემს, ანუ დმერთ-კაცობრივი სიბრძნის გარეშე, იმ დვოაგბრივი საიდუმლოს წვდომა შეუძლებელია და აქედან ჩანს, რომ 12 წლის ასაკს ჩვენ გარდატეხის ვუწოდებთ, ანალიტიკური აზროვნება ვითარდება ადამიანში, სურვილი შემეცნების, დამოუკიდებლობის და დარჩა მარტო, არ გაჰყა დედას, ყოვლადწმინდა დვთისმშობელს, იოსებს არ გაჰყა, დარჩა, მაგრამ ის უფალია, ის ყოველთვის თავისუფალია, მაგრამ ამით მიანიშნებს, რომ ამ ასაკისათვის ის დამახასიათებელია. ეს არის სასკოლო ასაკი და ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბავშვები კითხვებს გვისვამენ და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ გავცეთ პასუხი და არ ვემსგავსოთ იმ მოძღვრებს, რომლებიც ვერ სცემდნენ პასუხს. ქრისტიანი პედაგოგი უფრო მეტად უნდა იყოს გამსჭვალული დმერთკაცობრივი სიბრძნით, წმინდა წერილის სიტყვით, რომ გასცეს პასუხი კითხვებს, რომელიც ბავშვს ებადება. ეხლა მე დავასრულებ ცოტა ხანში. და კეთდება დღეს ეკლესიის წიაღში ამ მიმართულებით. ვმუშაობთ სახელმძღვანელოებზე, ჩვენ თვითონ არა ვართ კმაყოფილი ამ სახელმძღვანელოებით, გარკვეული აპრობაციას გადის ეს სახელმძღვანელოები, ჩვენ ვიწყებს ისევ დაწყებითი კლასებიდან. თუ საწყისში შენ დაუშვი შეცდომა, ზევით უკვე სწორს ვედარ მიიღებ პასუხს. ჩვენ ვიწყებთ საწყისიდან, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კლასი, ვცდილობთ როგორ შევძლოთ ბავშვის გულთან, სულთან, გონებასთან მიტანა იმ საღვთო განგებულების და დვთის სიყვარული და სიბრძნის. შემდეგ საფეხურზე, ეს ცალკე რაღაცა დისციპლინა კი არ არის, ანუ შემოგვაქვს სინთეზური სწავლის პრინციპი, მეუზო, მეექვსე კლასში, როცა დღეს უკვე აღიარებული საგანთა შორის კავშირებზე ლაპარაკობენ, მაგრამ

როგორ მიაღწიონ ამ კავშირებს, არ იციან და ჩვენ ვიციოთ, მაგრამ ჯერ სახელმძღვანელო რომ შეგქმნათ ცოტა გვიჭირს, იმიტომ რომ საგანთა შორის მაკავშირებელი დვთის სიბრძნეა, ერთია შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ერთი სიბრძნით არის შექმნილი ყველა ქმნილება და ეს სიბრძნე უნდა დაანახო ბავშვებს, პირველი ცდა, როდესაც ჩვენ მეხუთე კლასში შევეცადეთ სინთეზურად მიგვეწოდებინა, ანუ ერთიდაიგივე საკითხი სხვა საგანში განიხილებოდა, მაგრამ დღის ბოლოს ბავშვმა თქვა, ჩვენ ხომ ერთიდაიგივეს გვასწავლითო, ოდონდ სხვადასხვა მხრიდანო. მრავალხრივად უნდა მიაწოდო და ამ მრავალმხრივში ერთობაც უნდა დაანახო, რომ დერძი არის დვთის სიტყვა, შემოქმედის სიტყვა, ლოგოსი, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა. ცხადია ზედა კლასებში უფრო ხდება საგნების დიფერენციაცია, მაგრამ აქაც ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა არსებული სახელმძღვანელოების გამდიდრება ამ დვთაებრივი სიბრძნის მიწოდებით, რომელიც საფუძველში უდევს სამყაროს. ვთქვათ გეოგრაფიაში დღეს დიდი ყურადღება ეთმობა დემოგრაფიულ საკითხებს და რა ფაქტორები ახდენენ გავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე. ვთქვათ ბუნება, ვთქვათ ეკონომიკა და ა.შ. სტრუქტურა ქალაქის, სოფლის ურთიერთშეფარდება და ა.შ. მაგრამ გამორჩათ ერთი მთავარი ვიტყოდი ფაქტორი, რომ უფალი ან ამრავლებს, ან არ ამრავლებს, რატომდაც. აი ებრაელებს უფალი ამრავლებდა ეგვიპტეში მიუხედავად იმისა, რომ ფარაონი ცდილობდა, რომ დაეჩაგრა და გაეწყვიტა ებრაელები. ებლა ჩვენ გადმოვიტანოთ ეს ჩვენს მაგალითზე საქართველოში და ეს საკითხი პატრიარქის ფონდში დაისვა. დემოგრაფების შეკრება იყო, რატომ განიცდის ქართველი ერი დეპოპულიზაციას? მაშინ როდესაც საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფები მრავლდება. აზერბაიჯანელი, სომები და ყველა სხვა მრავლდება, ქართველის გარდა. ერთნაირ პირობებში ვცხოვრობთ, ერთი ქალაქია, ერთი ეკონომიკაა, ბუნება, ყველაფერი ერთია. არის კიდევ ფაქტორი, რომელიც ცილდება მეცნირეთა მიერ შემეცნების საშუალებას, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ჩვენში განვითარებული გარკვეული ცოდვები, რის გამოც, ა, არ გინდათ გამრავლება? კლავთ თქვენს შვილებს? მაშინ ნუდარ გამრავლდებით და საბჭოთა კავშირში საქართველო პირველ ადგილზე იყო აბორტების რაოდენობით. შექმნეს სპეციალური ინსტიტუტი, რომ წაახალისონ გამრავლება, იმიტომ რომ ბევრი მშობელი, დედა იყო უნაყოფო. რადაცნაირად წაეხალისათ ხელოვნური ჩასახვით და ეს, მაგრამ ამით ერი არ გამრავლებულა. ვერ გამრავლდება ერი. შეიძლება სხვა ასეთი მაგალითები მოვიყვანოთ ფიზიკიდან, დავანახოთ კავშირი იმ ხილულის უხილავთან, კაცობრივის დვთაებრივთან და ამით გავამდიდროთ ეს სახელმძღვანელოები და მერე, როდესაც აპრობირებული იქნება, მერე შეიძლება შევთავაზოთ განათლების სისტემას უფრო ვრცელი და ფართო იყოს. ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს ესეთი მოძრაობაა “ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას”, მაგრამ ეს მარტო ტექსტობრივი ცოდნაა იმისათვის, რომ ჩააბაროს გამოცდა და ჩვენ ვთვლით, რომ ეს არა მარტო არაა საკმარისი, არამედ

არასწორ მიმართულებას ხშირად აძლევს ბავშვებს და კცდილობთ, რომ ეს კითხვები არ იყოს ისეთი, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ ბავშვები. იყო გოლგოთაზე მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ? გამოიცნო ვიდაცამ და პირველმა დაიძახა, ორი ავაზაკი და ვიდაცა ტაშს უკრავს ამ დროს, გუნდმა გაიმარჯვა, რაში გაიმარჯვა? იმდენად დარღვეულია ეს ცნობიერება, მთავარია გამარჯვება და რის ხარჯზე? რას უკრავ ტაშს? ვერ აცნობიერებ და ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ ესეთი კითხვები არ დასვათ, რომ უნებლიერ ჩვენ ბავშვს ცოდვაში ვაგდებთ. ბიოლოგიაზე არ მინდა თავი შეგაწყინოთ, ევოლუციურ მოძღვრებაზე, მაგრამ მინდა ერთი საინტერესო ფაქტი მოვიყვანო, რომ ერთხელ დავესწარი ბიოლოგიის გაკვეთილს და პედაგოგი კომპიუტერის საშუალებით აჩვენებდა უჯრედის გამრავლებას, რომ არის მითოზი, არის მინოზი, რომ უჯრედი ორ ნაწილად იყოფა და გაყოფა, როდესაც განაყოფიერებული უჯრედი არის, ის 4 ნაწილად იყოფა და მასწავლებელი აჩვენებს ამას, აი ნახეთ და მე ვხედავ, რომ ოთხ ნაწილად იყოფა, ჯვარია გამოსახული ამ უჯრედზე და ვეუბნები მასწავლებელს, კი მაგრამ ხომ შეიძლება გეთქვა, რომ “და თქვა უფალმა, (ცოცხალი არსება რომ შეიქმნა) აკურთხა აღორძინდით, გამრავლდით, აავსეთ ქვეყანა” კურთხევა ხომ ჯვრის გამოსახვაა. ჯვარი გამოისახა, უფალმა აკურთხა გამრავლება და აი ნათელ მაგალითს ვხედავთ. სხვა შეიძლება ასე მოვიყვანოთ მაგალითები ბიოლოგიდან, ისტორიიდან, როგორ შეიძლება დვთის განგება იცავდეს ადამიანს. აი დავით ულუს ამბავი, რამდენი წელი იყო ჯურდმულში ჩაგდებული და მაინც არ დაიღუპა, უფალმა განაგო, ის უნდა ყოფილიყო მეფე. კანონიერად ის უნდა ყოფილიყო მეფე და ის ადამიანი დვთის წინაშე იყო მართალი და მსხვერპლი იყო უსამართლობის და როგორ გადაარჩინა ის უფალმა. მეცნიერულად ეს ასსნას არ ექვემდებარება, მაგრამ თუ ჩვენ ბავშვის ცნობიერებას გავაფართოვებთ გარდა იმ ფაქტორებისა, კლასობრივი ბრძოლა და სხვა მექანიზმები, რაც მოქმედებს, პოლიტიკა, ეკონომიკა, არსებობს დვთის განგება, რომელიც ამრავლებს ერს ან არ ამრავლებს, დაიცავს ადამიანს, ან არ დაიცავს და სხვა პროცესები შეიძლება უფრო რთული გახდეს ჩვენი შემეცნება და მომავალი თაობა არ იყოს შეზღუდული პრაგმატული სწავლებით, არამედ სხვებს უჩვენოს ალტერნატიული მაგალითი სრული და სრულყოფილი აღზრდა-განათლებით განვითარების. მადლობა ყურადღებისათვის.